

კვლევითი მიმოხილვა

„ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა - რა კავშირია მათ შორის და როგორ ფასდება ის?“

ავტორი: ნესტან გაფრინდაშვილი, ACT-ის უფროსი კონსულტანტი/ეკონომისტი

მაისი, 2025

**Empowering
the Change**

ეკონომიკური განვითარება და საზოგადოების კეთილდღეობა - რა კავშირია მათ შორის და როგორ ფასდება ის?

საზოგადოებაში ფართოდ დამკვიდრებულია მოსაზრება, რომ ადამიანთა კეთილდღეობა უპირველესად დაყავშირებულია ეკონომიკურ სიმდიდრესთან. ამას, ცხადია, აქვს თავისი არგუმენტები. შესაძლოა, ადამიანთა კეთილდღეობას დიდწილად მართლაც განაპირობებდეს მათი ფინანსური შესაძლებლობები. აქედან გამომდინარე, ქვეყნების განვითარების შესაძარებლად ხშირად იყენებენ სხვადასხვა სახის ეკონომიკურ ინდიკატორებს, როგორიცაა, მაგალითად, მთლიანი შიდა პროდუქტი (მშპ). თუმცა, სინამდვილეში მშპ არასდროს იყო გამიზნული იმისათვის, რომ საზოგადოების კეთილდღეობა შეფასებინა. თვითონ მშპ-ის კონცეფციის განვითარება უკავშირდება ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის საიმონ კუზნეცის სახელს, რომელმაც 1934 წელს (ჯერ კიდევ აშშ-ის დიდი დეპრესიის პერიოდში) აშშ-ის კონგრესს მიმართა შემდეგი სიტყვებით: „ერის კეთილდღეობა ნაკლებად თუ შეფასდება ეროვნული შემოსავლის გაზომვით“¹. მიუხედავად ამისა, დღემდე მშპ-ს ხშირად სწორედ ამ მიზნით იყენებენ. ამის მიზეზი ისიც არის, რომ მშპ-ის კონცეფცია ადვილად გასაგებია ყველასთვის - იგი აღნიშნავს ეკონომიკურ აქტივობას, რომლის ზრდაც მიუთითებს იმაზე, რომ ადამიანებს მეტი ხარჯვითი შესაძლებლობები აქვთ და შესაბამისად, უმჯობესდება მათი ცხოვრების ხარისხიც.

ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ ფულს/ეკონომიკურ შემოსავლებს ახასიათებს კლებადი უკუგება ბედნიერებასთან მიმართებაში (ბედნიერების განცდაც, თავის მხრივ, კეთილდღეობის შემადგენელი ნაწილია). ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში გამოქვეყნდა მნიშვნელოვანი კვლევა, რომლის შედეგებიც „ისტერლინის პარადოქსის“ (Easterlin Paradox)² სახელწოდებით გახდა ცნობილი. კვლევამ აჩვენა, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ბედნიერება დაკავშირებულია ეკონომიკურ შემოსავლებთან, თუმცა, გრძელვადიან პერიოდში, ბედნიერებასა და მაღალ ეკონომიკურ შემოსავლებს შორის ეს კავშირი აღარ იკვეთება. არაერთი სხვა კვლევაც აჩვენებს, რომ ღარიბი ქვეყნებისთვის კმაყოფილებისა და ბედნიერების განცდა მკვეთრად იზრდება ეკონომიკური შემოსავლების ზრდასთან ერთად, შედარებით მდიდარი ქვეყნებისთვის კი მეტი ფულადი შემოსავალი ყოველთვის არ არის დაკავშირებული მეტ ბედნიერებასთან. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ადამიანების ბედნიერებასა და ცხოვრებით კმაყოფილებაზე მოქმედებს სხვადასხვა პერსონალური ფაქტორი, მაგალითად, ასაკი, განათლება, ოჯახის ზომა/მინამეურნეობის წევრთა რაოდენობა. ქვეყნების დონეზე ბედნიერების შეფასებისას ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სახელმწიფოს მოწყობისა და ინსტიტუციური ფაქტორებიც, მათ შორის, დემოკრატიის ხარისხი, ინსტიტუტების სიძლიერე, მთავრობებისადმი ნდობა. ამასთან, კვლევები აჩვენებს, რომ ეკონომიკურ უთანასწორობას მნიშვნელოვნად უარყოფითი გავლენა აქვს ქვეყნების კეთილდღეობასა და საზოგადოებების ბედნიერებაზე. დაბალშემოსავლიან ქვეყნებში ადამიანები ნაკლებად ბედნიერი არიან არა მხოლოდ იმიტომ, რომ ნაკლები შემოსავლები და მოხმარება აქვთ, არამედ უფრო მაღალი უთანასწორობის გამო, რაც ხშირად უსამართლოდ აღიქმება³.

2016 წელს დავოსში „მსოფლიო ეკონომიკურ ფორუმზე“ მსოფლიოს წამყვანი ეკონომისტები და აკადემიკოსები შეთანხმდნენ, რომ მშპ ქვეყნების პროგრესის ცუდი საზომია⁴. მანამდე, 2011 წელს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ

¹ Vanham, P. (2021). „A brief history of GDP - and what could come next“. World Economic Forum.

<https://www.weforum.org/stories/2021/12/stakeholder-capitalism-episode-1-a-brief-history-of-gdp/>

² Easterlin, R.A. (1974). „Does Economic Growth Improve the Human Lot? Some Empirical Evidence“. Nations and Households in Economic Growth. pp. 89-125.

<https://www.sciencedirect.com/science/article/abs/pii/B9780122050503500087>

³ Biermann, F., Labadze, L. (2013). „The Economics of Happiness“. ISET Economist Blog.

<https://iset-pi.ge/en/blog/552-the-economics-of-happiness>

⁴ Thomson, S. (2016). „GDP a poor measure of progress, say Davos economists“. World Economic Forum.

<https://www.weforum.org/stories/2016/01/gdp/>

გაცემდა განცხადება, რომ „ცხოვრება უფრო მეტია, ვიღრე მშპ-ისა და ეკონომიკური სტატისტიკის ცივი რიცხვები“ და შემუშავდა „უკეთესი ცხოვრების ინდექსი“ (Better Life Index) ქვეყნებს შორის კეთილდღეობის შეფასებისთვის მრავალფაქტორული მოდელის გამოყენებით⁵. უფრო ადრე, 2007 წელს დაიწყო ევროკავშირის „მშპ-ს მიღმა“ (Beyond GDP) ინიციატივა იმისათვის, რომ ნათლად განსაზღვრულიყო, რომელი ინდექსები ზომავს საკეთესოდ პროგრესს და როგორ უნდა მოხდეს მათი გამოყენება პოლიტიკის შექმნის პროცესში⁶. ევროკავშირის 2023 წლის „სტრატეგიული ხედვის ანგარიშში“ (Strategic Foresight Report) აღინიშნა ევროკავშირის ინიციატივის შესახებ „მდგრადი და ინკლუზიური კეთილდღეობა“⁷, რომელიც ასევე ევროკავშირის „მშპ-ს მიღმა“ კონცეფციას ეყრდნობა. ინიციატივა მიუთითებს ყოვლისმომცველი საზომის შემუშავების აუცილებლობაზე, რომელიც ასახავს ქვეყნების წარმატებასა და კეთილდღეობას ისეთი კომპონენტების გათვალისწინებით, როგორებიცაა გარემოს მდგრადობა, სოციალური ინკლუზია, ცხოვრების ხარისხი და თაობათაშორისი სამართლიანობა. ინიციატივის მიზანია, რომ მშპ შეივსოს მდგრადი და ინკლუზიური კეთილდღეობის საზომებით და მათი გამოყენება მოხდეს ევროკავშირის პოლიტიკის შემუშავებაში.

ცხადია, რომ მხოლოდ ეკონომიკური ინდიკატორები არ განსაზღვრავს ინდივიდუალურ და საზოგადოებრივ კეთილდღეობას და შესაძლოა, არც გადამწყვეტი ფაქტორი იყოს ის. უფრო მეტიც, ადამიანის ევოლუციური განვითარების სხვადასხვა ეტაპზე დაკვირვებით ჩანს, რომ ეკონომიკური წინსვლა ყოველთვის არ იყო დაკავშირებული ბედნიერების უფრო მაღალ დონესთან⁸. გავიხსენოთ ადამიანური საჭიროებების ერთგვარი კლასიფიკაცია (ე.წ. „მასლოუს პირამიდა“), რომელიც 1943 წელს ამერიკელმა ფსიქოლოგმა აბრაამ მასლოუმ წარმოადგინა თავის ნაშრომში „ადამიანის მოტივაციის თეორია“⁹. საჭიროებების უმაღლეს, მე-5 დონეს („თვით-რეალიზაციის მოთხოვნილება“) ავტორი „საბოლოო ბედნიერების“ (ultimately happy) მდგრამარეობას უწოდებს და შემდეგნაირად განმარტავს: „მაშინაც კი, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა სხვა საჭიროება (იგულისხმება პირველი ოთხი დონის შესაბამისი საჭიროებები): (1) ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები, (2) უსაფრთხოების მოთხოვნილებები, (3) სოციალური კავშირის მოთხოვნილებები, (4) პატივისცემისა და აღიარების მოთხოვნილებები), ადამიანს მოუსვენრობა შეიძყრობს, თუ ის არ აკეთებს იმას, რაც მისთვის შესაფერისია. მუსიკისა მუსიკა უნდა შექმნას, მხატვარმა უნდა ხატოს და პოეტმა უნდა წეროს, იმისათვის, რომ საბოლოოდ იყოს ბედნიერი. ადამიანი უნდა იყოს ის, რად ყოფნაც მას შეუძლია (what a man can be, he must be)“. „მასლოუს პირამიდის“ განვითარების კვალდაკვალ ადამიანთა საჭიროებების წარმოდგენილ სურათში ემატებოდა სხვა კომპონენტები/დონეები და იცვლებოდა ამ მოდელის ვიზუალიზაციის ფორმებიც. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანური საჭიროებების ეს მოდელი „პირამიდის“ სახელწოდებით არის ცნობილი, უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამ საჭიროებებისთვის პირამიდის ფორმა თავად აბრაამ მასლოუს არ მიუცია¹⁰. სინამდვილეში, საჭიროებებს შორის არ არის მყაცრად იერარქიული დამოკიდებულება. ცხადია, საბაზისო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გარეშე ადამიანებს სხვა, უფრო მაღალი დონის საჭიროებებზე ფიქრი

⁵ „Better Life Index“. OECD.

<https://www.oecdbetterlifeindex.org/#/111111111111>

⁶ „Beyond GDP“. EU Sustainable Prosperity.

<https://sustainable-prosperity.eu/sustainable-prosperity/beyond-gdp/>

⁷ „Beyond GDP: delivering sustainable and inclusive wellbeing“. European Commission.

https://joint-research-centre.ec.europa.eu/projects-and-activities/beyond-gdp-delivering-sustainable-and-inclusive-wellbeing_en

⁸ Harari, Y. N. (2014). „Were we happier in the stone age?“. The Guardian.

<https://www.theguardian.com/books/2014/sep/05/were-we-happier-in-the-stone-age>

⁹ Maslow, A. H. (1943). „A Theory of Human Motivation“. York University, Toronto, Ontario. ISSN 1492-3713. Originally Published in Psychological Review, 50, 370-396.

<https://psychclassics.yorku.ca/Maslow/motivation.htm>

¹⁰ Kaufman, S.B. (2020). „Transcend: The New Science of Self-Actualization“.

<https://www.bps.org.uk/psychologist/transcending-maslows-pyramid>

გაუჭირდებათ. თუმცა, არ არის აუცილებელი ყოველი ეტაპის შესაბამისი საჭიროებები სრულად დაკმაყოფილდეს, რომ ადამიანი შემდეგ ეტაპზე გადავიდეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროებების დაკმაყოფილებისადმი, როგორც წესი, არ არის ასეთი მიღებომა „ყველაფერი ან არაფერი“. უფრო რეალურია, რომ ადამიანური საჭიროებების მოდელს, პირამიდაზე მეტად, ტალღოვანი ფორმა ჰქონდეს¹¹, რაც იმის გამოხატულებაა, რომ სხვადასხვა ეტაპის შესაბამისი საჭიროებების დაკმაყოფილება ერთმანეთის პარალელურადაც შესაძლებელია. ფინანსური უსაფრთხოების საკითხები (მათ შორის, შემოსავალი, დასაქმება, ქონება და ა.შ.) „მასლოუს პირამიდის“ მე-2 საფეხურს ეკუთვნის. თუმცა, ეს იმის თქმის საფუძველი არ უნდა გახდეს, რომ თუ საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია ფინანსური უსაფრთხოების მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ამ საზოგადოებამ არ უნდა იფიქროს უფრო მაღალი დონის, კეთილდღეობისა და ბედნიერების მისაღწევი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაზე. მაგალითისთვის, ხშირად ამბობენ ხოლმე, რომ „გარემოს დაცვა მდიდარი ქვეყნების ფუფუნებაა“. თუმცა, რეალობა ისაა, რომ გარემოზე ზრუნვა და მდგრადი განვითარება ყველა ქვეყნისთვის (მშპ-ის დონის მიუხედავად) თანაბრად მნიშვნელოვანია, ვინაიდან გარემოსა და ბუნებისეული კაპიტალის მიმართ ადამიანების დღევანდელ ქცევაზე დამოკიდებულია ზოგადად პლანეტის და, მათ შორის, ეკონომიკური განვითარების მომავალიც.

კეთილდღეობასა და ბედნიერებას, როგორც ინდივიდისა და საზოგადოების განვითარების საყოველთაო მიზანს, არაერთი მოაზროვნისა და მეცნიერის ყურადღება მიუქცევია. ამაზე მსჯელობდნენ ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის ფილოსოფოსები. შემდეგ ამ კონცეფციების მეცნიერული განვითარების ახალი საფეხური დაიწყო მე-18-მე-19 საუკუნეებში, ე.წ. უტილიტარიზმისა და კონსეკვენციალიზმის მიმდინარეობებით. ამასთან, ამ პერიოდში „ბედნიერებისკენ სწრაფვა“ სახელმწიფო დონეზე ადამიანის უფლებების კონტექსტშიც გაჩნდა. გავიხსენოთ ჩანაწერი ამერიკის შეერთებული შტატების დამოუკიდებლობის დეკლარაციაში (მიღებულია 1776 წლის 4 ივლისს), რომელიც აშშ-ის ერთ-ერთ „დამფუძნებელ მამასა“ და აშშ-ის მესამე პრეზიდენტს თომას ჯეფერსონს უკავშირდება: „შემოქმედმა მიანიჭა ყველა ადამიანს განსაზღვრული განუყოფელი უფლებები და მათ შორისაა სიცოცხლე, თავისუფლება და ბედნიერებისკენ სწრაფვა“¹². უკვე მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისიდან ბედნიერებისა და საერთო კეთილდღეობის საკითხები უფრო აქტიურად განიხილებოდა სხვადასხვა დარგის მეცნიერებსა და ეკონომისტებს შორის და ინერგებოდა საჯარო პოლიტიკაში.

ბედნიერებისა და კეთილდღეობის შესახებ შეფასებები უფრო და უფრო მეტ ყურადღებას იქცევს 21-ე საუკუნეში და ეს გამოიხატება როგორც ეროვნულ დონეზე სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკაში კეთილდღეობის მიზნების ინტეგრირებაში, ასევე, პლანეტარული მასშტაბით რიგი საერთაშორისო ინდიკატორებისა და ინდექსების განვითარების სახით. ის, რომ ბედნიერებისკენ მისწრაფების აღქმა და ხედვები განსხვავებულია სხვადასხვა საზოგადოებაში, ამას კეთილდღეობის შეფასებების უკვე არსებული პრაქტიკაც მოწმობს. თუმცა, ის, რაც აერთიანებს ამ კუთხით არსებულ სხვადასხვა ეროვნულ თუ საერთაშორისო შეფასებებს, არის ის, რომ ისინი ფოკუსირებულია მდგრადი განვითარების ხედვაზე, რაც გულისხმობს არა მხოლოდ ეკონომიკური, არამედ სოციალური, კულტურული,

¹¹ Cloke, H. (2023). „Maslow's Hierarchy of Needs: A Guide for Learning Professionals“.

<https://www.growthengineering.co.uk/maslows-hierarchy/>

¹² „We hold these truths to be self-evident, that all men are created equal, that they are endowed by their Creator with certain unalienable Rights, that among these are Life, Liberty and the pursuit of Happiness.--That to secure these rights, Governments are instituted among Men, deriving their just powers from the consent of the governed, --That whenever any Form of Government becomes destructive of these ends, it is the Right of the People to alter or to abolish it, and to institute new Government, laying its foundation on such principles and organizing its powers in such form, as to them shall seem most likely to effect their Safety and Happiness.“

Declaration of Independence: A Transcription. In Congress, July 4, 1776.

<https://www.archives.gov/founding-docs/declaration-transcript>

გარემოსდაცვითი თუ სხვა სპეციფიკური ფაქტორების როლის გამოკვეთას საზოგადოებების კეთილდღეობის შექმნაში.

„მთლიანი ეროვნული ბედნიერების“ (GNH) კონცეფცია პირველად ბუტანის მეფის მიერ გაუდერდა 1970-იანი წლების დასაწყისში. მას მტკიცედ სწამდა, რომ ბედნიერება ბუტანელი ხალხის პროგრესული განვითარების მაჩვენებელი და ნიშანია და ეჭველი დაყენა მშპ-ის შესაბამისობა საზოგადოების ბედნიერებისა და კეთილდღეობის გაზომვისთვის. მას ასევე სჯეროდა საჯარო დისკუსიის ლეგიტიმურობისა ბუტანის განვითარების მიზნების განსაზღვრაში¹³. 2008 წელს ბუტანის კონსტიტუციაშიც გამოჩნდა GNH შემდეგი სახით: „სახელმწიფო ხელს უწყობს ისეთი პირობების მიღწევას, რომლებიც გახდის შესაძლებელს მთლიანი ეროვნული ბედნიერებისკენ მისწრაფებას“. GNH ტექნიკურად განისაზღვრება, როგორც „მრავალგანზომილებიანი განვითარების მიდგომა, რომელიც ცდილობს ჰარმონიული ბალანსის მიღწევას მატერიალურ კეთილდღეობასა და საზოგადოების სულიერ, ემოციურ და კულტურულ საჭიროებებს შორის“. არ არის გასაკვირი, რომ GNH განიცდიდა ცვლილებებს დროთა განმავლობაში. დღესდღეობით იგი ჩამოყალიბებულია 4 მთავარი სვეტის გარშემო (კარგი მმართველობა, მდგრადი სოციალურ-ეკონომიკური განვითარება, კულტურის შენარჩუნება, გარემოს დაცვა), რომლებიც, თავის მხრივ, მოიცავს 9 განზომილებას, 38 ქვე-ინდექსს, 72 ინდიკატორსა და 151 ცვლადს¹⁴.

ეროვნულ დონეზე საჯარო პოლიტიკაში კეთილდღეობის საკითხების ინტეგრირების საინტერესო მაგალითები გვხვდება გაერთიანებულ სამეფოში, ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, კანადაში. გაერთიანებული სამეფოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური (ONS) ერთ-ერთი ორგანიზაციაა მათ შორის, რომელიც ეროვნულ დონეზე კეთილდღეობის კვლევებს ახორციელებს „ეროვნული კეთილდღეობის დაფიტ“ (National Well-being Dashboard¹⁵). აღნიშვნულის განხორციელების მიზნით, ამ ეტაპზე შერჩეულია კეთილდღეობის 59 მიმართულება, რომლებიც დაჯგუფებულია შემდეგი 10 თემატური სფეროს მიხედვით:

- i. **პირადი კეთილდღეობა.** ადამიანების მოსაზრებები მათი ამჟამინდელი კეთილდღეობის ასპექტებზე.
- ii. **ჩვენი ურთიერთობები.** ადამიანების ურთიერთობები ოჯახთან, მეგობრებსა და მათ გარშემო არსებულ საზოგადოებასთან.
- iii. **ჯანმრთელობა.** ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობა, როგორც ადამიანების კეთილდღეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.
- iv. **რას ვაკეთებით.** მონაწილეობა, კმაყოფილება და ბალანსი სამუშაოსა და დასვენებას შორის დროის გადანაწილებით.
- v. **სად ვცხოვრობთ.** საცხოვრებელი ადგილი, ადგილობრივი გარემოს მახასიათებლები, საჭირო ობიექტებზე წვდომის შესაძლებლობა, სამეზობლო გარემოსთან მიკუთვნებულობის განცდა.
- vi. **პირადი ფინანსები.** ფინანსური შემოსავალი და სიმდიდრე, სიღარიბე და უთანასწორობა.
- vii. **განათლება და უნარები.** ადამიანისეული კაპიტალი, კვალიფიკაცია და უნარები, განათლების სისტემით კმაყოფილება.
- viii. **ეკონომიკა.** ეკონომიკური აქტივობა და სხვადასხვა ეკონომიკური ინდიკატორები, ასევე, მომსმარებელთა აღემა (ნდობა) ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ.
- ix. **მმართველობა.** საზოგადოების ნდობა და სამოქალაქო მონაწილეობა, ნდობა მთავრობის მიმართ, პოლიციისა და მართლმსაჯულების სისტემით კმაყოფილება.

¹³ GNH Centre of Bhutan.

<https://www.gnhcentrebhutan.org/history-of-gnh/>

¹⁴ The 4 Pillars of GNH and The 9 Domains of GNH.

<https://www.gnhcentrebhutan.org/the-4-pillars-of-gnh/>

<https://www.gnhcentrebhutan.org/the-9-domains-of-gnh/>

¹⁵ Office of National Statistics (ONS) of the United Kingdom.

<https://www.ons.gov.uk/peoplepopulationandcommunity/wellbeing/articles/ukmeasuresofnationalwellbeing/dashboard>

x. **გარემოს დაცვა.** კლიმატის ცვლილება, ბუნებისეული კაპიტალი, ადამიანის აქტივობის გავლენა გარემოს დაცვაზე.

საინტერესოა, რომ ONS-ის მიერ ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტების მიხედვით კეთილდღეობის შეფასება ეყრდნობა როგორც სუბიექტური ხასიათის მონაცემებს (ადამიანთა მოსაზრებებისა და განცდების კვლევა), ასევე ობიექტურ მონაცემებს (კონკრეტული ეკონომიკური, სოციალური და სხვა ინდიკატორები, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკის მონაცემებს ეყრდნობა).

საერთაშორისო დონეზე კეთილდღეობისა და ბედნიერების კვლევების მასშტაბით ამ ეტაპზე გამორჩეულია სამი შეფასება / ინდექსი, რომლებსაც წინამდებარე ანგარიშში განვიხილავთ. ქვემოთ აღწერილია ამ შეფასებების არსი, მნიშვნელობა, ძირითადი მეთოდოლოგიური ახსნები და წარმოდგენილია საქართველოს შედეგები სამივე შეფასების ფარგლებში.

I. „ადამიანის განვითარების ინდექსი“ (HDI)

„ადამიანის განვითარების ინდექსი“ (HDI), ალბათ, ბევრისთვის უკვე ცნობილია. მისი შემუშავება ხდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ფარგლებში და შეფასებები ხელმისაწვდომია 1990 წლიდან¹⁶. მისი მიზანია, აჩვენოს, რომ არა ეკონომიკური ზრდა განცალკევებულად, არამედ ადამიანები და მათი შესაძლებლობები უნდა იყოს ქვეყნის განვითარების შეფასებისთვის მთავარი კრიტერიუმი. HDI ზომავს ადამიანის განვითარებას სამი ძირითადი განზომილებით: (1) **ხანგრძლივი და ჯანსაღი სიცოცხლე** (სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაბადებისას); (2) **ცოდნა** (სწავლების მოსალოდნელი წლები და სწავლების საშუალო წლები); (3) **ცხოვრების ღირსეული დონე** (მთლიანი ეროვნული შემოსავალი (GNI) მოსახლეობის ერთ სულზე). საინტერესოა, რომ ინდექსის მორგება ხდება სხვადასხვა დამატებითი კომპონენტითაც, მათ შორის, გარემოსდაცვითი კომპონენტებით. კერძოდ, ინდექსში ერთვება ორი დამატებითი ინდიკატორი: „ნახშირორჟანგის ემისიები მოსახლეობის ერთ სულზე“ და „მატერიალური კვალი¹⁷ მოსახლეობის ერთ სულზე“, რის შედეგადაც მიიღება „პლანეტარული წნევის“ მიხედვით მორგებული (planetary pressures-adjusted) ადამიანის განვითარების ინდექსი (PHDI).

უახლესი (2022 წლის) შეფასებით, HDI-ის მიხედვით, მსოფლიოს 193 ქვეყანას შორის საქართველო იკავებს მე-60 ადგილს და „ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი დონის“ ჯგუფში არის 0.814 ქულით. თუმცა, თუ ამ ქულის „პლანეტარული წნევის“ მიხედვით მორგებულ მაჩვენებელს (PHDI) ვნახავთ, საქართველოს ქულა 0.767-მდე მცირდება (5.8%-ით ნაკლები, ვიდრე HDI-ის ქულა) (**დიაგრამა 1**). აღსანიშნავია, რომ იმავე 2022 წლის მონაცემებით, „ადამიანის განვითარების ძალიან მაღალი დონის“ ჯგუფში შემავალი ქვეყნებისთვის გაცილებით მეტად (საშუალოდ 13.6%-ით) ნაკლებია PHDI-ის ქულა, საწყის HDI-ის ქულასთან შედარებით. „ადამიანის განვითარების მაღალი დონის“ ჯგუფში შემავალი ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი არის საშუალოდ 9.6%, „ადამიანის განვითარების საშუალო დონის“ ჯგუფში შემავალი ქვეყნებისთვის - 2.8%, ხოლო „ადამიანის განვითარების დაბალი დონის“ ჯგუფში შემავალი ქვეყნებისთვის - 1.5%.


¹⁶ Human Development Index (HDI).

<https://hdr.undp.org/data-center/human-development-index#/indicies/HDI>

¹⁷ „Material footprint“ refers to the total amount of raw materials extracted to meet final consumption demands. It is one indication of the pressures placed on the environment to support economic growth and to satisfy the material needs of people.

<https://unstats.un.org/sdgs/report/2019/goal-12/>

HDI-ის და PHDI-ის ქულები, 2022




დიაგრამა 1. HDI-ის და PHDI-ის ქულები, საქართველო და ქვეყანათა ჯგუფები განვითარების დონის მიხედვით, 2022

ზოგიერთ ქვეყანაში (განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც მაღალი ეკონომიკური განვითარება ბუნებრივი რესურსების დიდ მოპოვებასთანაც არის დაკავშირებული) HDI-ისა და PHDI-ის ქულებს შორის განსხვავება 20-50%-მდეც კი აღწევს (ცხრილი 1).

ცხრილი 1. შერჩეული ქვეყნები HDI-ისა და PHDI-ის ქულებს შორის განსხვავების (%) მიხედვით, 2022

შერჩეული ქვეყნები HDI-ისა და PHDI-ის ქულებს შორის განსხვავების (%) მიხედვით, 2022			
ქვეყნები HDI-ისა და PHDI-ის ქულებს შორის ყველაზე დიდი (20% და მეტი) განსხვავებით:			
	HDI-ის ქულა	PHDI-ის ქულა	HDI-სა და PHDI-ს ქულებს შორის განსხვავება (%)
ყატარი	0.875	0.450	48.6%
ქუვეითი	0.847	0.580	31.5%
ბრუნეი	0.823	0.576	30.0%
ომანი	0.819	0.593	27.6%
არაბთა გაერთიანებული საამიროები	0.937	0.688	26.6%
ლუქსემბურგი	0.927	0.685	26.1%
ბაჰრეინი	0.888	0.673	24.2%
კანადა	0.935	0.726	22.4%
სინგაპური	0.949	0.745	21.5%
საუდის არაბეთი	0.875	0.690	21.1%
ამერიკის შეერთებული შტატები	0.927	0.740	20.2%
ქვეყნები HDI-ისა და PHDI-ის ქულებს შორის ყველაზე მცირე (1% და ნაკლები) განსხვავებით:			
	HDI-ის ქულა	PHDI-ის ქულა	HDI-სა და PHDI-ს ქულებს შორის განსხვავება (%)
ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	0.387	0.383	1.0%
ლიბერია	0.487	0.482	1.0%
იემენი	0.424	0.420	0.9%
კონგო	0.481	0.477	0.8%
მადაგასკარი	0.487	0.483	0.8%
ბურუნდი	0.420	0.417	0.7%
ავღანეთი	0.462	0.459	0.6%

HDI-სა და PHDI-ს ქულებს შორის განსხვავება კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება შედეგების გრძელვადიან პერიოდში დაკვირვებისას (**დიაგრამა 2**).



დიაგრამა 2. HDI-სა და PHDI-ს ქულებს შორის განსხვავება (%), 1990-2022

როგორც შედეგი აჩვენებს, რაც უფრო მეტად მაღალი და მზარდია განსხვავება HDI-სა და PHDI-ს შორის, ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარების პარალელურად და უფრო მაღალი განვითარების ჯგუფში შემავალი ქვეყნებისგან „პლანეტარული წნევიც“ მეტია.

II. „ბედნიერი პლანეტის ინდექსი“ (HPI)

2006 წლიდან „ახალმა ეკონომიკურმა ფონდმა“¹⁸ დაიწყო „ბედნიერი პლანეტის ინდექსის“ (HPI) შემუშავება¹⁹. იგი მიზნად ისახავდა, ეჩვენებინა ქვეყნების წარმატება არა ფართოდ გავრცელებული ეკონომიკური მაჩვენებლით (როგორიცაა, მაგალითად, მშპ), არამედ ეკოლოგიური ეფექტიანობით, რომლითაც საზოგადოებების ბედნიერი და ჯანსაღი სიცოცხლე მიიღწევა. ინდექსის შემადგენელი კომპონენტები და მათი წყაროები წლების განმავლობაში მცირედ იცვლებოდა, თუმცა, ძირითადი პრინციპი უცვლელი დარჩა: HPI უნდა წარმოადგენდეს იმ ეფექტიანობის მაჩვენებელს, რითაც ქვეყნები დედამიწის შეზღუდულ რესურსებს გარდაქმნიან მათი მოქალაქეების კეთილდღობაში.

HPI მზომება სამი ინდიკატორის საშუალებით. თავდაპირველად ეს სამი ინდიკატორი იყო შემდეგი: (1) ცხოვრებით კმაყოფილების დონე; (2) სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა; (3) „ეკოლოგიური კვალი“²⁰. ცხოვრებით კმაყოფილების დონის (1) შეფასება, ძირითადად,

¹⁸ New Economics Foundation.

<https://neweconomics.org/>

¹⁹ Simms, A., Marks, N., Abdallah, S., Thompson, S. (2006). „The Happy Planet Index - An index of human well-being and environmental impact“.

<https://neweconomics.org/2006/07/happy-planet-index>

²⁰ „Ecological Footprint“ is a measure of how much area of biologically productive land and water an individual, population or activity requires to produce all the resources it consumes and to absorb the waste it generates, using prevailing technology and resource management practices.

<https://www.footprintnetwork.org/resources/glossary/>

ეფუძნებოდა რუტ ვენპოვენის „ბეღნიერების მსოფლიო მონაცემთა ბაზას“²¹ და შესაბამის კვლევებს. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ მონაცემები (2) ეყრდნობოდა გაეროს კვლევებს. „ეკოლოგიური კვალის“ შესახებ მონაცემი (3) ეფუძნებოდა „გლობალური კვალის ქსელის“²² კვლევებს. საბოლოოდ, ფორმულას ჰქონდა შემდეგი სახე:

$$HPI = \frac{\text{ცხოვრებით კმაყოფილების დონე * სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა}}{\text{„კოლოგიური კვალი“}}$$

2023 წლის მარტიდან ახალი კვლევითი ორგანიზაცია²³ გახდა პასუხისმგებელი HPI-ის მონაცემების განახლებაზე. უახლესი (2024 წლის) ანგარიშის მიხედვით²⁴, HPI იზომება შემდეგი სამი ინდიკატორის საშუალებით: (1) **სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა;** (2) **თვით-გაცხადებული კეთილდღეობა;** (3) „**ნახშირბადის კვალი**“²⁵. სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესახებ მონაცემები (1) ეყრდნობა გაეროს მოსახლეობის კვლევებს. ადამიანების მიერ გაცხადებული კეთილდღეობის დონე (2) „გალაპის მსოფლიო გამოკითხვის“ (GWP²⁶) შედეგებს ეფუძნება. „ნახშირბადის კვალის“ შესახებ შეფასებები (3) კი ეფუძნება „გლობალური ნახშირბადის ატლასისა“²⁷ და EORA-ს მონაცემთა ბაზებს²⁸. საბოლოოდ, ფორმულა იღებს შემდეგ სახეს:

$$HPI = \frac{\text{სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა * თვით - გაცხადებული კეთილდღეობა}}{\text{„ნახშირბადის კვალი“}}$$

მართალია, ფორმულის შემადგენელი კომპონენტები მცირედ იცვლებოდა დროთა განმავლობაში, თუმცა, როგორც თავდაპირველი, ასევე განახლებული HPI-ის ფორმულიდან ჩანს ერთი საერთო მიზანი: შეფასდეს საზოგადოების კეთილდღეობის მდგრადობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, HPI წარმოადგენს იმ ეფექტუანობის მაჩვენებელს, რითაც ქვეყნები დედამიწის შეზღუდულ რესურსებს გადაქმნიან მათი მოქალაქეების კეთილდღეობაში.

HPI-ის 2024 წლის ანგარიშში წარმოდგენილია შედეგები 2021 წლის მდგომარეობით მსოფლიოს 147 ქვეყნისთვის²⁹. სიის პირველ ხუთეულშია ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ვანუატუ (1-ელი ადგილი 57.9 ქულით), შვედეთი, ელ-სალვადორი, კოსტა-რიკა და ნიკარაგუა. სიის ბოლო ხუთეულს კი იკავებენ ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ჩადი, ავღანეთი, ლესოთო, ბოტსვანა და ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა (ბოლო ადგილი 13.7 ქულით). „ბეღნიერი პლანეტის ინდექსი“ ისე არის შედგენილი, რომ მაქსიმუმი (100) ქულა მიენიჭება გარემოსდაცვითი საზღვრების დაცვის ფარგლებში მიღწეულ მაქსიმალურ კეთილდღეობას. სხვა ქვეყნებზე რომ არაფერი ვთქვათ, საუკეთესო შედეგის მქონე ქვეყანაც კი (ვანუატუ 57.9 ქულით) მაქსიმალური შედეგისგან ჯერ კიდევ შორს არის და მხოლოდ 16 ქვეყანას აქვს 50 ქულაზე მეტი (ცხრილი 2).

²¹ Ruut Veenhoven's World Database of Happiness.

<https://worlddatabaseofhappiness.eur.nl/about-us-2/organizational-basis/>

²² Global Footprint Network.

<https://www.footprintnetwork.org/>

²³ The Hot or Cool Institute.

<https://happyplanetindex.org/about-us/>

²⁴ Abdallah, S., Hoffman, A., and Akenji, L. (2024). „The 2024 Happy Planet Index“. Hot or Cool Institute, Berlin.

https://happyplanetindex.org/HPI_2024_report.pdf

²⁵ „Carbon Footprint“ is an estimate of the per capita greenhouse gas emissions associated with consumption and economic activity within a country.

https://happyplanetindex.org/HPI_2024_report.pdf

²⁶ The Gallup World Poll (GWP).

<https://www.gallup.com/analytics/318875/global-research.aspx>

²⁷ Global Carbon Atlas.

<https://globalcarbonatlas.org/emissions/carbon-emissions/>

²⁸ EORA Global Supply Chain Database.

<https://worldmrio.com/>


²⁹ The Happy Planet Index - 2021 Results.

<https://happyplanetindex.org/hpi/>

ცხრილი 2. შერჩეული ქვეყნების შედეგები HPI-ის მიხედვით, 2024


შერჩეული ქვეყნების შედეგები „ბედნიერი პლანეტის ინდექსის“ (HPI) მიხედვით, 2024 (შედეგები გაზომილია 2021 წლისთვის)		
ქვეყნები, რომელთა HPI-ის ქულა 50-ს აღემატება (მაქსიმუმი 100-დან):		
რეიტინგი	ქვეყანა	ქულა
1	ვანუატუ	57.9
2	შვედეთი	55.9
3	ელ-სალვადორი	54.7
4	კოსტა-რიკა	54.1
5	ნიკარაგუა	53.6
6	დანია	53.0
7	ესპანეთი	53.0
8	პანამა	52.0
9	საფრანგეთი	52.0
10	ჩილე	51.3
11	პორტუგალია	51.0
12	მოლდოვა	50.9
13	პონდურასი	50.8
14	პოლანდია	50.7
15	ნორვეგია	50.5
16	გვატემალა	50.4
ქვეყნები, რომელთა HPI-ის ქულა 20-ზე ნაკლებია (მაქსიმუმი 100-დან):		
რეიტინგი	ქვეყანა	ქულა
139	ზიმბაბვე	19.7
140	ლიბანი	19.2
141	ზამბია	19.1
142	ყატარი	18.8
143	ჩადი	18.3
144	ავღანეთი	16.2
145	ლესოტო	15.6
146	ბოტსვანა	14.7
147	ცენტრალური აფრიკის რესპუბლიკა	13.7

„ბედნიერი პლანეტის ინდექსის“ სიაში საქართველო იყავებს მე-80 ადგილს 37.2 ქულით და ეს პოზიცია მნიშვნელოვნად არ შეცვლილა წლების განმავლობაში (დიაგრამა 3).




დიაგრამა 3. HPI და საქართველო, 2007-2021

საინტერესოა HPI-ის შედეგების კავშირი ეკონომიკურ მაჩვენებლებთან. როგორც 2024 წლის ანგარიში არის განხილული, HPI-ის დონე გარკვეულწილად იზრდება მშპ-თან ერთად გარკვეულ მომენტამდე, მაგრამ შემდეგ ისევ მცირდება (**დიაგრამა 4**). ამასთან, აღსანიშნავია ამ კავშირის სისუსტეც: მშპ ხსნის HPI-ის ცვალებადობის მხოლოდ 21%-ს (როგორც **დიაგრამა 4**-ზე არის ასახული, $R^2=0.2138$). შემოსავლის მიზედვით ქვეყნების ჯგუფების შემთხვევაში თუ ვნახავთ კორელაციას მშპ-სა და HPI-ს შორის, შედეგები აჩვენებს, რომ არსებობს dლიერი დადებითი კორელაცია ($R=0.41$) მოსახლეობის ერთ სულზე მშპ-სა და HPI-ს შორის ყველაზე დაბალი შემოსავლის ($\$20\,000$ -მდე) მქონე ქვეყნების შემთხვევაში; იმ ქვეყნების შემთხვევაში, რომელთა შემოსავალიც არის $\$20\,000$ -დან $\$50\,000$ -მდე, კორელაცია თითქმის არ არის ($R=0.06$); $\$50\,000$ -ის ზემოთ შემოსავლის მქონე ქვეყნებში კი კორელაცია dლიერი და უარყოფითია ($R=-0.51$).



დიაგრამა 4. HPI და მშპ მოსახლეობის ერთ სულზე: The 2024 Happy Planet Index Report

კიდევ უფრო სუსტია კავშირი მშპ-ის ზრდის ტემპსა და HPI-ის შორის (**დიაგრამა 5**). მშპ-ის ზრდის ტემპი ხსნის HPI-ის ცვალებადობის 6%-ზე ნაკლებს (როგორც **დიაგრამა 5**-ზე არის ასახული, $R^2=0.0582$). HPI-ის რეიტინგის პირველ ათეულში მყოფ ქვეყნებში მშპ-ის საშუალო ზრდა იყო მხოლოდ 1.3% COVID 19-ის პანდემიამდე ოთხი წლის განმავლობაში (2016 წლიდან 2019 წლამდე). როგორც შედეგები აჩვენებს, სწრაფი ეკონომიკური ზრდა არ არის დაკავშირებული ქვეყნების მაღალ HPI-თან.



დიაგრამა 5. HPI და მშპ-ის ზრდის ტემპი: The 2024 Happy Planet Index Report

HPI-ის 2024 წლის შეფასება აჩვენებს საინტერესო შედეგებს ეკონომიკური უთანასწორობის საკითხთან დაკავშირებითაც. ქვეყნების შედეგები გაანალიზდა საზოგადოების ჯუფებისთვის მათი ეკონომიკური შემოსავლების მიხედვით. შედეგები აჩვენებს, რომ ქვეყნებში საზოგადოების უმდიდრეს 10%-ს აქვს მნიშვნელოვნად დაბალი HPI-ის ქულა, ვიდრე დანარჩენებს. ამავე დროს, ამ უმდიდრეს 10%-ს ეკუთვნის ქვეყნების ნახშირბადის გამონაბოლქვის უდიდესი ნაწილიც, თუმცა, ეს არ ნიშნავს მათთვის უფრო მაღალი დონის კეთილდღეობას.

III. „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშები“ (World Happiness Reports)

2012 წლიდან ქვეყნდება „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშები“³⁰ და მასზე მუშაობენ მაღალი რეპუტაციის მქონე პირები, ინდივიდები და ორგანიზაციები, როგორებიცაა ოქსფორდის უნივერსიტეტის კეთილდღეობის კვლევის ცენტრი³¹ „გალაპარან“³² პარტნიორობით, გაეროს მდგრადი განვითარების გადაწყვეტილებების ქსელი³³, სხვადასხვა პროფესიონალები და აკადემიკოსები. როგორც წესი, „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშში“ ყოველ წელს შეფასებულია წინა სამი წლის პერიოდში არსებული მდგომარეობა (მაგალითად, 2025 წლის ანგარიში აფასებს 2022-2024 წლებს). ამავე დროს, ერთი საინტერესო საკითხი, რაც ამ ანგარიშებს გამოარჩევს სხვა მსგავსი შეფასებებისგან, არის ის, რომ ყოველ წელს ხდება კონკრეტული თემის შერჩევა და ამ თემის ირგვლივ კვლევის ფოკუსირება. მაგალითად, 2018 წელს ასეთ თემად არჩეული იყო იმიგრაცია, 2019 წელს - ტექნოლოგიები და სოციალური ნორმები, 2020 წელს - გარემოსდაცვითი საკითხები და მდგრადი განვითარება, 2021 წელს - COVID-19 პანდემიის შედეგები და გავლენა ადამიანებზე, 2022 წელს - სოციალური მხარდაჭერისა და ნდობის მნიშვნელობა, 2023 წელს - სახელმწიფოს ეფექტიანობა და ეროვნული ბედნიერების გაზომვის საკითხები, 2024 წელს - ბედნიერება სხვადასხვა ასაკში. უახლესი 2025 წლის ანგარიშის თემად კი არჩეული არის ადამიანების მიერ ერთმანეთზე ზრუნვისა და ერთმანეთთან გაზიარების მნიშვნელობა.

„მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშში“ კონკრეტული ქვეყნის ბედნიერების დონის შეფასება და ამის შედეგად ქვეყნების რეიტინგების განსაზღვრა ხდება „სუბიექტური კეთილდღეობის“ (Subjective Well-Being) გაზომვით, რითაც ხდება ადამიანების მიერ საკუთარი „ცხოვრების შეფასება“ (Life Evaluations). ეს შეფასებები მიღებულია „გალაპის მსოფლიო გამოკითხვის“ (GWP) შედეგებით და სწორედ ეს გამოკითხვა წარმოადგენს კვლევის მთავარ ბაზას მონაცემებისთვის. კერძოდ, „ცხოვრების შეფასების“ შედეგები ეყრდნობა გამოკითხული ადამიანებისგან მიღებულ პასუხებს შემდეგ კითხვაზე: „წარმოიდგინეთ კიბე, რომლის საფეხურებიც დანომრილია ქვედა 0-დან ზედა 10-მდე. ზედა მე-10 საფეხური წარმოადგენს თქვენთვის შესაძლო საუკეთესო ცხოვრებას და ქვედა 0 საფეხური არის თქვენთვის შესაძლო ყველაზე უარესი ცხოვრება. როგორ ფიქრობთ, კიბის რომელ საფეხურზე ძდიოდად გრძენობთ თავს პერსონალურად თქვენ ამ მოძენტში?“ შესაბამისად, აღნიშნული 0-10-ქულიანი შეაღის შეფასებაში 0 ასახავს ცხოვრების ყველაზე ცუდ შეფასებას და 10 - ყველაზე კარგ შეფასებას. როგორც წესი, ყოველწლიურად დაახლოებით 1000 პასუხი გროვდება თითოეული ქვეყნისთვის. შემდეგ ხდება ამ მონაცემების შეწონვა ეროვნულ დონეზე წარმომადგენლობითობისთვის. როგორც ზემოთ აღინიშნა, კონკრეტულ წლის „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშში“ გაანალიზებულია წინა სამი წლის პერიოდის გასაშუალოებული მონაცემები. ამ შემთხვევაშიც, GWP-ის შედეგები ადამიანების მიერ თავისი ცხოვრების

³⁰ World Happiness Reports.

<https://worldhappiness.report/analysis/>

³¹ University of Oxford's Wellbeing Research Centre.

<https://wellbeing.hmc.ox.ac.uk/about/>

³² Gallup - U.S. research and polling organization.

<https://www.gallup.com/home.aspx>

³³ UN Sustainable Development Solutions Network.

<https://www.unsdn.org/>

შეფასებებზე ეყრდნობა სწორედ სამწლიან საშუალო მაჩვენებლებს, ვინაიდან, როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ, მონაცემების უფრო დიდი ნიმუშის ზომა უფრო ზუსტი შეფასებების საშუალებას იძლევა. კვლევაში დამატებით ხდება ადამიანების დადებითი და უარყოფითი ემოციების ფაქტორების შეფასებაც, ვინაიდან მიჩნეულია, რომ ემოციებს დიდი გავლენა აქვთ ზოგადად ცხოვრების შეფასების საკითხზე. მდგრადი დადებითი ემოციები მნიშვნელოვანი ხელშემწყობია კარგი ცხოვრებისთვის. ამასთან, კვლევის შედეგები ამყარებს იმ ფსიქოლოგიურ მიგნებასაც, რომ დადებითი ემოციების არსებობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ნეგატიური ემოციების არ-არსებობა არა მხოლოდ ხანგრძლივი სიცოცხლისთვის, არამედ ჩვეულებრივი დაავადებების მიმართ რეზისტენტობისთვისაც კი. კვლევაში დადებითი ემოციების შეფასება ეყრდნობა GWP-ის შედეგებს კითხვაზე, განიცადა თუ არა რესპონდენტმა წინა დღეს ისეთი ემოციები, როგორებიცაა სიცილი, სიამოვნება, ინტერესი. უარყოფითი ემოციების შეფასებაც ეყრდნობა GWP-ის შედეგებს კითხვაზე, განიცადა თუ არა რესპონდენტმა წინა დღეს ისეთი ემოციები, როგორებიცაა წუხილი, სევდა და ბრაზი.


საბოლოოდ ქვეყნებისთვის ქულების დადგენა და შესაბამისი სარეიტინგო სიის შედეგენა ეფუძნება ზემოხსენებული 0-10-ქულიანი შკალის კითხვაზე მიღებულ პასუხებს „ცხოვრების შეფასების“ შესახებ (სიმარტივისთვის, ვუწოდოთ ამას „ბედნიერების ინდექსი“). 2025 წლის ანგარიში წარმოდგენილია „ბედნიერების ინდექსის“ შედეგები მსოფლიოს 147 ქვეყნისთვის. ფინეთი და დანია სიის სათავეში არიან, ხოლო ავღანეთი სიაში ბოლო ადგილს იკავებს (ცხრილი 3).

ცხრილი 3. შერჩეული ქვეყნების შედეგები „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშის“ მიხედვით, 2025

შერჩეული ქვეყნების შედეგები „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშის“ მიხედვით, 2025 (შედეგები გაზომილია 2022-2024 წლებისთვის)		
ქვეყნები, რომელთა ქულებიც 7.0-ს აღემატება (0-10-ქულიან შკალაზე):		
რეიტინგი	ქვეყანა	ქულა
1	ფინეთი	7.736
2	დანია	7.521
3	ისლანდია	7.515
4	შვედეთი	7.345
5	ჰოლანდია	7.306
6	კოსტა რიკა	7.274
7	ნორვეგია	7.262
8	ისრაელი	7.234
9	ლუქსემბურგი	7.122
ქვეყნები, რომელთა ქულებიც 3.5-ზე ნაკლებია (0-10-ქულიან შკალაზე):		
რეიტინგი	ქვეყანა	ქულა
141	კონგო	3.469
142	ბოტსვანა	3.438
143	ზიმბაბვე	3.396
144	მალავი	3.260
145	ლიბანი	3.188
146	სიერა ლეონე	2.998
147	ავღანეთი	1.364

„ბედნიერების ინდექსის“ მიხედვით, საქართველოს პოზიცია თითქმის უცვლელია ბოლო სამი წლის განმავლობაში (ქვეყანა იკავებდა 90-ე - 91-ე ადგილებს მსოფლიოში 2022-2024 წლების პერიოდში), თუმცა, რეიტინგი შედარებით გაუმჯობესებულია თუნდაც 2019-2021 წლებთან და მანამდე პერიოდთან შედარებით, როდესაც საქართველო მსოფლიოს პირველი ასეულის შემადგენელი ქვეყნების მიღმა იყო (დიაგრამა 6). „ცხოვრების შეფასება“ 0-10-ქულიან შეალაზე გაზრდილია საქართველოში 2024 წელს, 2011 წელთან შედარებით (3.892 ქულა 2011 წელს და 5.400 ქულა 2024 წელს). თუმცა, ის, რომ საქართველოს ქულა მაქსიმუმის (10) ნახევარს სულ ოდნავ აღემატება (5.4) და მსოფლიო რეიტინგშიც სიის პირველი ნახევრის ქვეყნებს მიღმაა, მიუთითებს იმაზე, რომ ქვეყანაში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი გამოწვევებია ადამიანების ცხოვრების ხარისხის კუთხით.

„ბედნიერების ინდექსი“ საქართველოსთვის, 2011-2024



დიაგრამა 6. „ბედნიერების ინდექსი“ საქართველოსთვის, 2011-2024

„მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშებში“ კვლევის შემდეგი ნაწილი ეხება მიღებული შედეგების ახსნას შესაძლო ამხსნელი კომპონენტების მიხედვით. დასაწყისიდანვე, როდესაც იქმნებოდა „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშები“, შეირჩა ექვსი ცვლადი, რომლებიც, კვლევის ავტორების თქმით, წარმოადგენდა ხელმისაწვდომ სხვა ცვლადებს შორის შესაძლო საუკეთესოს და რომლებსაც ჰქონდა მნიშვნელოვანი კავშირი „სუბიექტურ კეთილდღეობასთან“, განსაკუთრებით „ცხოვრების შეფასებებთან“. ეს კავშირი დასტურდებოდა როგორც ექსპერიმენტული, ასევე გამოკითხვის მონაცემებით. ამ ცვლადების ამხსნელობითი უნარიც ძლიერდებოდა დროთა განმავლობაში უფრო მეტი მონაცემის მოპოვებისა და კვლევის დროითი პერიოდის ზრდის შედეგად. როგორც კვლევის ავტორები აღნიშნავენ³⁴, ამ მიმართულებით მომავალში გაუმჯობესებისთვისაც მუშაობენ, თუ დამატებით ახალი და საჭირო მონაცემები გახდება ხელმისაწვდომი.

ქვემოთ წარმოდგენილია ის ექვსი კომპონენტი / ცვლადი, რომელთა საშუალებითაც ხდება ქვეყნების მიერ GWP-ის შედეგად მიღებული „ცხოვრების შეფასებების“ ახსნა:

- (1) **მშპ მოსახლეობის ერთ სულზე.** მშპ-ის შესახებ მონაცემები ეყრდნობა მსოფლიო ბანკისა (WB) და OECD-ის მონაცემებს. მშპ წარმოდგენილია მსყიდველობითი უნარის პარიტეტის (PPP) მიხედვით მუდმივ ფასებში.
- (2) **ჯანმრთელი სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა.** აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ეყრდნობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის (WHO) მონაცემებს.


³⁴ Helliwell, J., Layard, R., Sachs, J., De Neve, J.-E., Aknin, L., & Wang, S. (2025). „World Happiness Report 2025“. University of Oxford: Wellbeing Research Centre.

<https://worldhappiness.report/ed/2025/>

- (3) **სოციალური მხარდაჭერა.** აღნიშნული შეფასება ეყრდნობა GWP-ის შედეგებს, კერძოდ, მიღებულ პასუხებს შემდეგ კითხვაზე: „თუ რამე საფრთხის ქვეშ ხართ, ბყავთ თუ არა ნათესავები ან მეგობრები, რომელთა იმედიც გაქვთ, რომ დაგეხმარებიან, როცა დაგჭირდებათ?“
- (4) **თავისუფლება ცხოვრებისეული გადაწყვეტილებების მიღებისას.** აღნიშნული შეფასება ეყრდნობა GWP-ის შედეგებს, კერძოდ, მიღებულ პასუხებს შემდეგ კითხვაზე: „ხართ თუ არა კასუფილი თქვენი თავისუფლებით, თავად მიიღოთ თქვენი ცხოვრებისეული გადაწყვეტილებები/არჩევანი?“
- (5) **ქველმოქმედება.** აღნიშნული შეფასება ეყრდნობა GWP-ის შედეგებს, კერძოდ, მიღებულ პასუხებს შემდეგ კითხვაზე: „ხომ არ გაგიღიათ ფული ქველმოქმედებისთვის გასულ თვეში?“
- (6) **კორუფციის აღქმა.** აღნიშნული შეფასება ეყრდნობა GWP-ის შედეგებს, კერძოდ, მიღებულ პასუხებს შემდეგ ორ კითხვაზე: (ა) „არის თუ არა კორუფცია ფართოდ გავრცელებული ხელისუფლებაში?“; (ბ) „არის თუ არა კორუფცია ფართოდ გავრცელებული ბიზნესში?“

2005 წლიდან 2024 წლამდე მოპოვებულ მონაცემებზე დაყრდნობით, კვლევის ავტორები ასკვნიან, რომ ერთად აღებული, ეს ექვსი ცვლადი ხსნის „ცხოვრების შეფასებებში“ დაახლოებით სამ მეოთხედზე (75%-ზე) მეტს. ეს ტენდენცია ჩანს საქართველოს შედეგებშიც (**დიაგრამა 7**). ამასთან, საქართველოს შემთხვევაში ყველაზე დიდი ამხსნელობითი როლი მშპ-ის ცვლადს უკავია (საშუალოდ 25-28%-ის ფარგლებში), მაღალი და ზრდადია სოციალური მხარდაჭერის ფაქტორის როლი (საშუალოდ 16-24%-ის ფარგლებში), ყველაზე დაბალი და ზოგჯერ ნულოვანი როლი აქვს ქველმოქმედების ფაქტორს.

**"ბედნიერების ინდექსის" ამხსნელი ცვლადების როლი (%) ინდექსის
მაჩვენებელში საქართველოსთვის, 2019-2024**



დიაგრამა 7. „ბედნიერების ინდექსის“ ამხსნელი ცვლადების როლი ინდექსის მაჩვენებელში საქართველოსთვის, 2019-2024

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ იმ მეშვიდე კომპონენტის შესახებ, რომელიც ამხსნელ ცვლადად არის წარმოდგენილი კვლევაში და ეწოდება „დისტოპია + ნარჩენი“ (dystopia + residual). „დისტოპია“ - ეს არის ჰიპოთეტური ქვეყანა, რომელსაც კვლევის ავტორები წარმოადგენენ „ცხოვრების შეფასებების“ მიღებულ შედეგებზე დაფუძნებით. „დისტოპია“ ეწოდება იმის გამო, რომ ამ ჰიპოთეტურ ქვეყანას აქვს ყველაზე უარესი შედეგები, ყველა სხვა (რეალურ) ქვეყანასთან შედარებით (ანუ „უტოპის“ საწინააღმდეგო). „დისტოპია“ გამოიყენება, როგორც ე.წ. „ბენჩმარკი“, რასთან მიმართებაშიც უნდა შედარდეს დანარჩენი ექვსი კომპონენტისგან შეტანილი წვლილი თითოეული (რეალური) ქვეყნის შემთხვევაში. 2025 წლის ანგარიშში (ანუ 2022-2024 წლების შედეგებისთვის) „დისტოპის“ ქულა შეფასდა 1.37-ის დონეზე ზემოხსენებული „ცხოვრების შეფასებების“ 0-10-ქულიან შკალაზე. რაც შეეხება „ნარჩენს“ (residual), ეს არის ის ნაწილი, რომელიც არ იხსნება კვლევის მოდელით და წარმოადგენს ერთგვარ საპროგნოზო შეცდომას თითოეული ქვეყნისთვის. ეს „ნარჩენი“ კომპონენტი ასახავს პოტენციურად სხვა დამატებით ცვლადებს, რომლებიც შესაძლოა (და მოსალოდნელია), რომ გავლენას ახდენდეს „ცხოვრების შეფასებებზე“. მაგალითად, 2020 წლის „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშში“³⁵ მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილდა გარემოსდაცვითი ფაქტორების როლზე ადამიანის ბედნიერებისა და კეთილდღეობის შეფასებებში. თუმცა, ეს ფაქტორი ცალკე კომპონენტად ჯერჯერობით არ არის წარმოდგენილი კვლევის არსებულ ამხსნელობით მოდელში. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მომავალში, კვლევის მოდელების განვითარებასა და გარემოსდაცვითი საკითხების მეტ აქტუალობასთან ერთად (რაც ზემოთ განხილულ კეთილდღეობის სხვა შეფასებებში გარემოსდაცვითი საკითხების ინტეგრაციითაც დასტურდება), „მსოფლიოს ბედნიერების ანგარიშებში“ წარმოდგენილ კვლევის მოდელში ეკოლოგიური საკითხებიც დაიკავებს ადგილს.

ზემოთ განხილული სამივე საერთაშორისო შეფასება მართლაც განსაკუთრებით ფასეულ ინფორმაციას გვაძლევს საზოგადოებების განვითარების, კეთილდღეობისა და ბედნიერების შესახებ სხვადასხვა პერსპექტივით. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ საერთაშორისო შეფასებებისა და ინდექსების განვითარების პარალელურად, უფრო აქტუალური გახდეს დეტალური და ყოვლისმომცველი ეროვნული კეთილდღეობის შეფასების მოდელების დანერგვა. მსგავსი მაგალითები ამ ანგარიშშიც განვიხილეთ. ცხადია, რომ ბედნიერებისა და კეთილდღეობის შეფასებების მრავალფაქტორული მოდელის განვითარება და მისი დანერგვა საქართველოში ეროვნულ დონეზე უფრო ზუსტ წარმოდგენას მოგვცემს იმაზე, თუ რა განაპირობებს და რეალურად როგორ იცვლება საზოგადოების კეთილდღეობა, ვიდრე ამას აჩვენებს განცალკევებულად აღებული ეკონომიკური აქტივობის ამსახველი ინდიკატორები.

³⁵ Helliwell, J., Layard, R., Sachs, J., & De Neve, J. E. (2020). „World Happiness Report 2020“. Sustainable Development Solutions Network.

<https://worldhappiness.report/ed/2020/>